



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



განკარგულება:გ-37.37203328

თარიღი:27/11/2020

განკარგულება N55

27 ნოემბერი 2020 წელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის “სოციალური პროექტების განვითარების ფონდი“-ს მიერ წარმოდგენილი წინადადებების/პროექტების მოწონებისა და შემსრულებელ ორგანიზაციად განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. „გურიის რეგიონის განვითარების“ კონცეფციის ფარგლებში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის “სოციალური პროექტების განვითარების ფონდი“-ს მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო სოციალური პროექტები:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოციალური სახლების მშენებლობა;

ქალაქ ოზურგეთის ისტორიული უბნის რეაბილიტაცია;

ოზურგეთს მუნიციპალიტეტში ხანდაზმულთა თავშესაფრის მშენებლობა;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფელი ვაკიჯვარი - ბახმარო საბაგირო გზის მოწყობა; ქალაქ ოზურგეთში რეკრეაციული ზონის მოწყობა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში:

სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია;

სკოლის რეაბილიტაცია;

ადმინისტრაციული (კოლმეურნეობის) შენობის რეაბილიტაცია;

ბავშვთა ბაღი (რეაბილიტაცია); ამბულატორია (რეაბილიტაცია);

მუსიკალური სკოლა (რეაბილიტაცია);

ცენტრალური ქუჩის კეთილმოწყობა და შიდა 130კმ გზის რეაბილიტაცია, მოწონებული იქნეს.

მუხლი 2. ამ განკარგულების პირველი მუხლის შესაბამისად „გურიის რეგიონის განვითარების“ კონცეფციის ფარგლებში სოციალური პროექტების შემსრულებელ ორგანიზაციად განისაზღვროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სოციალური პროექტების განვითარების ფონდი“.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

